ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №1

ქ.ბოლნისი **17.06.2010 წ.**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ნოდარ საბიაშვილი, ნოდარ ინაძე, ნინო დვალიშვილი, ჯონი ხეცურიანი, რახილ ფატულაევი, თემურ მამედოვი, ემზარ სუბელიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, რუსუდან შაინიძე, გულუ ახმედოვი, ზურაბ დავითაშვილი, პეტრე დანელია, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ისმაილ მამედოვი, ვაგან არუთინიანი, ნადირ აბასოვი, რამიზ სოფუევი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, ბესარიონ რეხვიაშვილი, კარა გულმამედოვი, შერმადინ დადვანი, იმრან სარდაროვი.

თამარ ასათიანი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

სოფიო ჩაკვეტაძე – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთ. სპეციალისტი.

მანუჩარ კობახიძე –ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ კაპანაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ტელეკომპანია „TV -5”-არხი, „ბოლნელი” და გაზეთი „ბოლნისი”.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” 23-მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე მოწვევის 2010 წლის 17 ივნისის პირველ სხდომას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) 24 დეპუტატი.

გიორგი სამხარაძემ ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოახსენა ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჩატარებული არჩენვების შედეგები, მან წარმოადგინა ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 მაისის არჩენვნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმადაც პროპორციული საარჩევნო სისტემით საკრებულოს წევრობის 9 მანდატი მოიპოვა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", ხოლო 1 მანდატი „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია--ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" პროპორციული სისტემით საკრებულოს წევრები გახდნენ:

1. ნოდარ ინაძე;
2. ნინო დვალიშვილი;
3. ჯონი ხეცურიანი;
4. რახილ ფატულაევი;
5. თემურ მამედოვი;
6. ემზარ სუბელიანი;
7. ვლადიმერ გოგოლაძე;
8. რუსუდან შაინიძე;
9. გულუ ახმედოვი;

„გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია--ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანებიდან" საკრებულოს წევრი გახდა:

1. ზურაბ დავითაშვილი,

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

1. პეტრე დანელია -- ქალაქ ბოლნისიდან;
2. ნურადინ ალაზოვი – დაბა თამარისიდან;
3. ნუგზარ ყაფლანიშვილი –დაბა კაზრეთიდან;
4. ისმაილ მამედოვი –აკაურთის თემიდან;
5. ვაგან არუთინიანი – ბოლნისის თემიდან;
6. ნადირ აბასოვი – დარბაზის თემიდან;
7. რამიზ სოფუევი –მამხუტის თემიდან;

8. ავჯისაიათ ალიევი –ნახიდურის თემიდან;
9. მალხაზ ერაძე –რატევნის თემიდან;
10. ბესარიონ რეხვიაშვილი –რაჭისუბნის თემიდან;
11. კარა გულმამედოვი – ტალავერის თემიდან;
12. შერმადინ დადვანი –სოფ. ტანძიიდან;
13. იმრან სარდაროვი –სოფ. ქვ. ბოლნისიდან
14. ნოდარ საბიაშვილი – ქვეშის თემიდან.

გიორგი სამხარაძემ ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აქვე წარმოადგინა საუბნო პროპორციული და საუბნო მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და საკრებულოს წევრების სააღრიცხვო ბარათები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 23-მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომას თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება საკრებულოს უხუცესი წევრი. ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი სამხარაძემ საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათების საფუძველზე უხუცეს წვერად დაასახელა ნადირ აბასოვი და სთხოვა სხდომის წარმართვა.

ნადირ აბასოვმა შემდგომში საკრებულოს სხომის წარმართვის მიზნით მიმართა საკრებულოს დეპუტატებს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიისა და დროებით სამანდატო, საპროცედურო კომისიის შექმნის წინადადებით.

დასახელდა დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

პეტრე დანელია – კომისიის თავმჯომარე;

ნინო დვალიშვილი – მდივანი;

ისამილ მამედოვი –წევრი;

დროებითი ხმის დამთვლელი კომისია თვალყურს ადევნებს კენჭისყრის პროცესს, ითვლის ხმებს და აცხადებს შედეგს.

დასახელდა დროებითი სამანდატო, საპროცედურო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ემზარ სუბელიანი – კომისიის თავმჯომარე;

ბესარიონ რეხვიაშვილი – მდივანი;

შერმადინ დადვანი – წევრი;

დროებითი სამანდატო, საპროცედურო კომისია განიხილავს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების საკითხებს და ახორციელებს ფრაქციათა რეგისტრაციას.

ღია კენჭისყრით, საკრებულომ ერთხმად აირჩია დროებითი ხმის დამთვლელი და დროებითი სამანდატო, საპროცედურო კომისია დასახელებული შემადგენლობით.

გიორგი სამხარაძემ ბოლნისის №23 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წვერთა უფლებამოსილების შესამოწმებლად, დროებითი სამანდატო საპროცედურო კომისიას გადასცა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 მაისის არჩენვნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი, საუბნო პროპორციული და საუბნო მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, საკრებულოს წევრების სააღრიცხვო ბარათები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ნადირ აბასოვმა გამოაცხადა ნახევარი საათით შესვენება, რათა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიას მიეცეს საშუალება წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეამოწმოს არჩევნების ჩატარების სისწორე და შესაბამისი დასკვა წარმოუდგინოს საკრებულოს.

შესვენების შემდეგ განახლდა სხდომა და დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ ემზარ სუბელიანმა წარმოადგინა კომისიის დასკვნა, რომლის საფუძველზეც კომისიამ ცნო საკრებულოს 24 დეპუტატის უფლებამოსილება. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სდხომა ჩაითვალა შემდგარად, რის შედეგადაც უფლებამოსილება შეუწყდა წინა მოწვევის საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარემ ნადირ აბასოვმა – მეორე მოწვევის მუნიციპალიტეტის ახლად შემდგარ საკრებულოს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;**
2. **საკრებულოს თავმჯომარის მოადგილის არჩევა;**
3. **საკრებულოს კომისიების შექმნა;**
4. **კომისიის თავმჯდომარეების არჩევა და პერსონალური შემადგენლობების დამტკიცება;**
5. **ფრაქციების რეგისტრაცია;**
6. **გამგებლისათვის უფლება მოსილების შეწყვეტა და დროებით მოვალოების შემსრულებლის დანიშვნა.**

ნადირ აბასოვმა წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა

კენჭისყრის შედეგად წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი დამტკიცდა ერთხმად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს დეპუტატებს, რათა დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა.

ჯონი ხეცურიანმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ქვეშის თემის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ საბიაშვილის კანდიდატურა. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
სხდომაზე სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

ნადირ აბასოვმა მიმართა დასახელებულ კანდიდატს ნოდარ საბიაშვილის თანახმა იყო თუ არა კენჭი ეყარა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, რაზედაც კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

ნადირ აბასოვმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრაზე დააყენა დასახელებული ნოდარ საბიაშვილის კანდიდატურა.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 23, წინააღმდეგი -1 (ზურაბ დავითაშვილი) თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნოდარ საბიაშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

ნადირ აბასოვმა ახლად არჩულ საკრებულოს თავმჯდომარეს მიულოცა წარმატება და სთხოვა სხდომის წარმართვა.

ნოდარ საბიაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს დეპუტატებს გამოცხადებული ნდობისთვის, მოკლედ მიმოიხილა საკრებულოს სამოქმედო გეგმა, გამოთქვა მზადყოფნა საკრებულოს დეპუტატებთან ერთად განიხილოს და გადაჭრას შეძლებისდაგვარად თვითოეული თემის პრობლემა, რაც ხელს შეუწყობს ზოგადად მუნიციპალიტეტის განვითარებას. აქვე მიულოცა საკრებულოს ორ ქალბატონ დეპუტატს ნინო დვალიშვილსა და რუსუდან შაინიძეს საკრებულოს წევრობა, უსურვა წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა, ისიც აღნიშნა, რომ მეორე მოწვევის საკრებულომ გაუმჯობესა

გენდერული ბალანსი, ვინაიდან წინა მოწვევის საკრებულოში მხოლოდ ერთი ქალბატონი იყო.

დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ საბიაშილმა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს. ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა მამხუტის თემის მაჟორიტარი დეპუტატის რამიზ სოფუევის კანდიდატურა და საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

დრობითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 23, წინააღმდეგი -1 (ზურაბ დავითაშვილი), თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა რამიზ სოფუევი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

დღის წესრიგის მესამე საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ საბიაშილმა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა ხელისშეწყობის, გამგეობის და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით იქმნება არაუმეტეს 5 კომისია. კერძოდ:

1. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია;
2. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია;
3. ეკონომიკურ საკითხთ კომისია;
4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;
5. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისია.

კომისებმა განიცადა მცირედი ცვლილება, წინა მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებდა სარევიზიო კომისია, რომელმაც თავისი არსებობით არ გაამართლა, ამ ეტაპზე სარევიზიო კომისია ჩანაცვლებულია ეკონომიკურ საკითხთა კომისიით, რომელიც განიხილავს მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს.

ნოდარ საბიაშვილმა საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა -0.

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი კომისიები:

1. **იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია;**
2. **საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია;**
3. **ეკონომიკურ საკითხთა კომისია;**
4. **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;**
5. **ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისია**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კომისიის თავმჯდომარეების არჩევასა და პერსონალური შემადგენლობების დამტკიცებას, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 35-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. კომისიის თავმჯდომარის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედს (5 წევრი). ნოდარ საბიაშვილმა მიმართა საკრებულოს დეპუტატებს რათა დაესახელებინათ კომისიის თავმჯდომარეები და კომისიათა პერსონალური შემადგენლობები, რის გამოც სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 30-წუთით.

1. **შესვენების შემდეგ განახლდა სხდომა** და საკრებულოს დეპუტატმა ჯონი ხეცურიანმა გააცნო საკრებულოს დეპუტატებს საკრებულოს წევრთა 1/5-ის (5 წევრი ჯონი ხეცურიანი; ნოდარ ინაძე, ემზარ სუბელიანი, ვაგან არუთინიანი, ბესარიონ რეხვიაშვილი) წერილობითი წინადადება იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ვლადიმერ გოგოლაძის კანდიდატურის დასახელების შესახებ და შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარეს ემზარ სუბელიანს. აქვე დასახელდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა: მალხაზ ერაძე, ვაგან არუთინიანი, ნურადინ ალაზოვი, შერმადინ დადვანი.

დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის დასტურის შემდგომ ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

დრობითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვლადიმერ გოგოლაძე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და დამტკიცდა კომისია შემდეგი პერსონალური შემადგენლობით:

1. **ვლადიმერ გოგოლაძე –კომისიის თავმჯდომარე;**
2. **მალხაზ ერაძე –კომისიის წევრი;**
3. **ვაგან არუთინიანი - კომისიის წევრი;**
4. **ნურადინ ალაზოვი -- კომისიის წევრი;**
5. **შერმადინ დადვანი -- კომისიის წევრი;**

2. საკრებულოს დეპუტატმა ემზარ სუბელიანმა გააცნო საკრებულოს დეპუტატებს საკრებულოს წევრთა 1/5-ის (5 წევრი ემზარ სუბელიანი, ბესარიონ რეხვიაშვილი, გულუ ახმედოვი, ნურადინ ალაზოვი, ისმაილ მამედოვი) წერილობითი წინადადება საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ რახილ ფატულაევის კანდიდატურის დასახელების შესახებ და შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიას. აქვე დასახელდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა: ავჯისაიათ ალიევი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ბესარიონ რეხვიაშვილი.

დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის დასტურის შემდგომ ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 23, წინააღმდეგი -1 (ზურაბ დავითაშვილი), თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა რახილ ფატულაევი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და დამტკიცდა კომისია შემდეგი პერსონალური შემადგენლობით:

1. **რახილ ფატულაევი –კომისიის თავმჯდომარე;**

2. **აჯისაიათ ალიევი –კომისიის წევრი;**
3. **ზურაბ დავითაშვილი - კომისიის წევრი;**
4. **კარა გულმამედოვი -- კომისიის წევრი;**
5. **ბესარიონ რეხვიაშვილი -- კომისიის წევრი;**

3. საკრებულოს დეპუტატმა ვლადიმერ გოგოლაძემ გააცნო საკრებულოს დეპუტატებს საკრებულოს წევრთა 1/5-ის (5 წევრი ვლადიმერ გოგოლაძე, ნადირ აბასოვი, პეტრე დანელია, გულუ ახმედოვი, თემურ მამედოვი) წერილობითი წინადადება ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ჯონი ხეცურიანის კანდიდატურის დასახელების შესახებ და შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარეს ემზარ სუბელიანს. აქვე დასახელდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა: ზურაბ დავითაშვილი, ნადირ აბასოვი, ვაგან არუთინიანი, ნინო დვალიშვილი.

დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის დასტურის შემდგომ ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ჯონი ხეცურიანი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და დამტკიცდა კომისია შემდეგი პერსონალური შემადგენლობით:

1. **ჯონი ხეცურიანი –კომისიის თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ დავითაშვილი –კომისიის წევრი;**
3. **ნადირ აბასოვი - კომისიის წევრი;**
4. **ვაგან არუთინიანი -- კომისიის წევრი;**
5. **ნინო დვალიშვილი -- კომისიის წევრი;**

4. საკრებულოს დეპუტატმა ემზარ სუბელიანმა გააცნო საკრებულოს დეპუტატებს საკრებულოს წევრთა 1/5-ის (5 წევრი ემზარ სუბელიანი, რუსუდან შაინიძე, აჯისაიათ ალიევი, კარა გულმამედოვი, იმრან სარდაროვი) წერილობითი წინადადება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ისმაილ მამედოვის კანდიდატურის დასახელების შესახებ და შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიას. აქვე დასახელდა კომისიის პერსონალური

შემადგენლობა: ემზარ სუბელიანი, რუსუდან შაინიძე, ნუგზარ ყაფლანიშვილი, მალხაზ ერაძე.

დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის დასტურის შემდგომ ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ისმაილ მამედოვი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და დამტკიცდა კომისია შემდეგი პერსონალური შემადგენლობით:

1. **ისმაილ მამედოვი –კომისიის თავმჯდომარე;**
2. **ემზარ სუბელიანი –კომისიის წევრი;**
3. **რუსუდან შაინიძე - კომისიის წევრი;**
4. **ნუგზარ ყაფლანიშვილი -- კომისიის წევრი;**
5. **მალხაზ ერაძე -- კომისიის წევრი;**

5. საკრებულოს დეპუტატმა ჯონი ხეცურიანმა გააცნო საკრებულოს დეპუტატებს საკრებულოს წევრთა 1/5-ის (5 წევრი ჯონი ხეცურიანი, ნოდარ ინაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ნურადინ ალაზოვი, კარა გულმამედოვი) წერილობითი წინადადება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ იმრან სარდაროვის კანდიდატურის დასახელების შესახებ და შესაბამისი დოკუმენტაცია გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის თავმჯდომარეს ემზარ სუბელიანს. აქვე დასახელდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა: პეტრე დანელია, შერმადინ დადვანი, თემურ მამედოვი, გულუ ახმედოვი.

დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიის დასტურის შემდგომ ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პეტრე დანელიამ –სხდომას გააცნო ღია კენჭისყრის შედეგი: მომხრე 24, წინააღმდეგი -0, თავი შეიკავა -0.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა იმრან სარდაროვი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და დამტკიცდა კომისია შემდეგი პერსონალური შემადგენლობით:

1. **იმრან სარდაროვი –კომისიის თავმჯდომარე;**
2. **პეტრე დანელია –კომისიის წევრი;**
3. **შერმადინ დადვანი - კომისიის წევრი;**
4. **თემურ მამედოვი - კომისიის წევრი;**
5. **გულუ ახმედოვი - კომისიის წევრი;**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ საბიაშვილმა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' 31-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად, შესაძლებელია საკრებულოს წევრები გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციებში. კანონმდებლობის შესაბამისად ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები და საკრებულოს წევრს შეუძლია გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში. ფრაქციათა ჩამოყალიბება შიძლება როგორც პარტიულ ისე არა პარტიულ საფუძველზე. ნოდარ საბიაშვილმა ფრაქციათა რეგისტრაციის მიზნით, საკრებულოს სხდომაზე ნახევარი საათით გამოაცხადა შესვენება.

შესვენების შემდეგ განახლდა სხდომა და საკრებულოს დეპუტატმა ზურაბ დავითაშვილმა საკრებულოს დეპუტატებს გააცნო საკრებულოს სამი დეპუტატის ზურაბ დავითაშვილის, მალხაზ ერაძის და თემურ მამედოვის წერილობითი წინადადება ფრაქცია ,,ჩვენ თვითონ''-ს შექმნის შესახებ და შესაბამისი ხელმოწერილი განაცხადი გადასცა დროებით სამანდატო საპროცედურო კომისიას, სადაც ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ზურაბ დავითაშვილი.

კარა გულმამედოვმა საკრებულოს დეპუტატებს გააცნო საკრებულოს 21 დეპუტატის: ნოდარ საბიაშვილის; ნოდარ ინაძის; ნინო დვალიშვილის; ჯონი ხეცურიანის; რახილ ფატულაევის; ემზარ სუბელიანის; ვლადიმერ გოგოლაძის; რუსუდან შაინიძის; გულუ ახმედოვის; პეტრე დანელიას; ნურადინ ალაზოვის; ნუგზარ ყაფლანიშვილის; ისმაილ მამედოვის; ვაგან არუთინიანის; ნადირ აბასოვის; რამიზ სოფუევის; ავჯისაიათ ალიევის; ბესარიონ რეხვიაშვილის; კარა გულმამედოვის; შერმადინ დადვანის; იმრან სარდაროვის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განაცხადი ფრაქცია ,,ნაციონალი''-ს შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია კარა გულმამედოვი.

დროებით სამანდატო, საპროცედურო კომისიამ განიხილა ფრაქციების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ფრაქციათა რეგისტრაციის შესახებ და შესაბამისი დასკვნა წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარეს ნოდარ საბიაშვილს.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს გააცნო დროებითი სამანდატო, საპროცედურო კომისიის დასკვნა, ფრაქცია „ნაციონალის"– თავმჯდომარე კარა გულმამედოვი და ფრაქცია „ჩვენ თვითონ" - თავმჯდომარე ზურაბ დავითაშვილი, რეგისტრაციის შესახებ.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის გამგებლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და დროებით მოვალოების შემსრულებლის დანიშვნის შესახებ მოხსენება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ საბიაშვილმა, ვინაიდან წინა მოწვევის საკრებულოს შეუწყდა უფლებამოსილება და მუნიციპალიტეტის გამგებელი იოსებ ლალიაშვილი არჩეული იყო საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მასაც შეუწდა უფლებამოსილება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ " 33-ე და 39-ე მუხლების შეაბამისად გამგებელს საკრებულოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე. ახალი გამგებლის დანიშვნამდე საჭიროა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დაევალოს გამგებლის პირველ მოადგილეს ვახტანგ შკუბულიანს გამგებლის მოვალეობის შესრულება.

ამით მეორე მოწვევის საკრებულოს პირველმა სხდომამ ამოწურა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა. საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ საბიაშვილმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა საკრებულოს დეპუტატებს მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისათვის, იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ოთხი წლის ერთობლივი მუშაობა ნაყოფირი იქნება როგორც საკრებულოს ასევე ზოგადად ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №2

ქ. ბოლნისი **21.06. 2010წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

საკრებულოს წევრები:

ნინო დვალიშვილი, ჯონი ხეცურიანი, რახილ ფატულაევი, თემურ მამედოვი, ემზარ სუბელიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, რუსუდან შაინიძე, გულუ ახმედოვი, ზურაბ დავითაშვილი, პეტრე დანელია, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ისმაილ მამედოვი, ვაგან არუთინიანი, ნადირ აბასოვი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, ბესარიონ რეხვიაშვილი, კარა გულმამედოვი, შერმადინ დადვანი, იმრან სარდაროვი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

ნოდარ საბიაშვილმა --საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება 23 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წვერებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. გამგებლის დანიშვნაზე საკრებულოს შეთანხმება
2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის სესხისა და გრანტის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ნოდარ საბიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე იოსებ ლალიაშვილის დანიშვნის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი.

1. **აზრი გამოთქვეს:**

მალხაზ ერაძემ; ჯონი ხეცურიანმა; ისმაილ მამედოვმა.

ნინო დვალიშვილმა მადლობა გადაუხადა იოსებ ლალიაშვილს იმ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რომლსაც იგი იჩენდა ზოგადად კულტურის სფეროსადმი და კონკრეტულად ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლისადმი. ძალზედ მნიშვნელოვან და ისტორიულ ფაქტად მიიჩნია ძველი ფოლკლორული ანსამბლის აღდგენა, რომელსაც უზარმაზარი ტრადიცია და ფესვები აქვს. მან სთხოვა დამსწრე საზოგადოებას მხარი დაეჭირათ იოსებ ლალიაშვილის კანდიდატურისადმი.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი.

1. **დაადგინეს:**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაეთანხმა იოსებ ლალიაშვილის კანდიდატურას მუნიციპალიტეტის გამგებლად დანიშვნის შესახებ.

2. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ბესარიონ რეხვიაშვილის, პეტრე დანელიას, ნოდარ ინაძისა და ემზარ სუბელიანის განცხადებები საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ **32²** მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, **32³** მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ მე-6 მუხლის შესაბამისად საკრებულო იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე.

2. **აზრი გამოთქვეს:**

ჯონი ხეცურიანმა, რახილ ფატულაევმა, ვლადიმერ გოგოლაძემ

2 . დაადგინეს:

ცნობათ იქნეს მიღებული ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ბესარიონ რეხვიაშვილის, პეტრე დანელიას, ნოდარ ინაძისა და ემზარ სუბელიანის განცხადებები საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

3. **მოუსმინეს:**

ნ. საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის სესხისა და გრანტის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ " კერძოდ: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა **2010** წლის **2** ივნისს **№1492-გ10** წერილით მომართა ბოლნისის მუნიციპალიტეტს, სადაც აღნიშნულია, რომ დაგეგმილია ქალაქ ბოლნისის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება. ჩატარებული ტენდერის შედეგად პროექტის წინასწარი ღირებულება განისაზღვრა **1,253,112.49** ლარით, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მხრიდან **20%**-ის ოდენობით თანადაფინანსება შეადგენს **250,622.50** ლარს, **50%** კრედიტი შეადგენს **626,556.24** ლარს, ხოლო **30%** გრანტი **375,933.75** ლარს. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის **22**-ე მუხლის **1**-ლი პუნქტის ,,შ" ქვეპუნქტისა და **33**-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად საკრებულომ უნდა მისცეს თანხმობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალაქ ბოლნისის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ **2010** წლის **2** ივნისს **№1492-გ10** წერილით განსაზღვრული სესხისა და გრანტის შესაბამისი ოდენობის მისაღებად ხელშეკრულება გააფორმოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან. ასევე ითხოვოს ნებართვას საქართველოს მთავრობისაგან სესხისა და გრანტის აღებაზე.

3. **აზრი გამოთქვეს:**

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ისმაილ მამედოვმა, ზურაბ დავითაშვილმა.

3 . დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნოდარ საბიაშვილს ქალაქ ბოლნისის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ **2010**

წლის 2 ივნისს №1492-გ10 წერილით განსაზღვრული სესხისა და გრანტის შესაბამისი ოდენობის მისაღებად ხელშეკრულება გააფორმოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №3

ქ. ბოლნისი **2.07. 2010წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, რახილ ფატულაევი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნინო დვალიშვილი, გულუ ახმედოვი, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ვაგან არუთინიანი, ნადირ აბასოვი, თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, შერმადინ დადვანი,

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

გიორგი ხომასურიძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო--

საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

გოჩა თაგვაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ კაპანაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ნოდარ საბიაშვილმა --საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება 19 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წვერებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

2. 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

3. დისველისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

4. სოფ. რატევანში მდებარე 200კვ.მ და სოფ. ქვემო არქევანში მდებარე 111კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზაციო ნუსხაში ჩასმის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

5. მოქალაქე ნათელა ყაფლანიშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

6. მოქალაქე ფატინა ავქოფაშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

7. მოქალაქე სვეტლანა ჯოპუასათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

8. მოქალაქე ირინა ყაზაროვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

9. მოქალაქე მარინა ჯალაღანიასათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

10. მოქალაქე ჩინგიზ ალანდაროვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

11. მოქალაქე ვალერიან კვერნაძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

12. მოქალაქე მეგი ფრუიძისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

13. მოქალაქე ირინა ჭანტურიასათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

14. მოქალაქე ნათელა ჩუთლაშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

15. მოქალაქე ნაილი ბარათაშვილისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

ნოდარ საბიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული წერილი №07-1/692 29.06.2010წ ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“.

1. **აზრი გამოთქვეს:**

მალხაზ ერაძემ; ჯონი ხეცურიანმა; ისმაილ მამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააწენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

1. **დაადგინეს:**

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №1** თან ერთვის)

2. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული

,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი კერძოდ: დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები 9700 ლარით შემცირდა დაბა კაზრეთში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. 180180 ლარით შემცირდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის შიდა ოთახების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. შემცირების შედეგად წარმოქმნილი თანხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 145000 დაემატა დაბა კაზრეთში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოების შესყიდვას. 2475 ლარი დაემატა სასოფლო--სამეურნეო მიწების ტექნიკურ-კარტოგრაფიული რუკების შესყიდვას. 1215 ლარი დაემატა სოფელ ტანძიისა და სოფლე კიანეთის საჯარო სკოლებისათვის აზბოცემენტის შიფერის შესყიდვას. 490 ლარი დაემატა ფოტოაპარატის შესყიდვას. 1410 ლარი დაემატა ავტომანქანების დასუფთავების მომსახურების შესყიდვას. 1800 ლარი დაემატა ბინის დაქირავების მომსახურების შესყიდვას. 2000 ლარი დაემატა ადმინისტრაციული შენობის შემინული ფასადის წმენდის მომსახურეობის შესყიდვას. 2620 ლარი დაემატა სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დეტალური საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების მომსახურების შესყიდვას. 32870 ლარი გადანაწილდა სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად. საქართველოს მთავრობის №41 13.01.2010 წელი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №241 დადგენილების შესაბამისად ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 950636 ლარი.

2. **აზრი გამოთქვეს:**

ნუგზარ ყაფლანიშვილი -- დაინტერესდა დაბა კაზრეთის კორპუსების სახურავების შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების საკითხით.

აგრეთვე დაინტერესდა მიმდინარე წელს გათვალისწინებული არის თუ არა მუნიციპალტეტის ბიუჯეტში დაბა კაზრეთში მდებარე მრავალსართულიანი 6 საცხოვრებელი კორპუსის დაფინანსება, რომელიც გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს.

გიორგი ხომასურიძე -- ამ ეტაპზე მიმდინარეობს 3 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავების შეკეთების სამუშაოები და წლის ბოლომდე განხორციელდება დანარჩენი 3 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის შეკეთების დაფინანსება.

შერმადინ დადვანი -- დაინტერესდა სოფელ ტანძიაში სარიტუალო სახლისათვის სამშენებლო მასალის შესყიდვით.

გიორგი ხომასურიძე -- სოფლის მოთხოვნის გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი გეგმიდან ამოღებული იქნა ტანძიის სარიტუალო სახლის სამშენებლო მასალების შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 12415 და აღნიშნულის ნაცვლად 1550 ლარი დაემატა სარიტუალო აღჭურვილობის შესყიდვას, ხოლო 10865 ლარი სამშენებლო მასალების შესყიდვას.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №11** თან ერთვის)

3. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი დისველის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ. აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული იქნა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან და საქართველოს მთავრობისაგან. საკითხის დეტალური მოხსენებისათვის მიმართა იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ვლადიმერ გოგოლაძეს.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიამ განიხილა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული 22.06.2010 წლის №07/146, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული 28.05.2010 წლის №04/2270 და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული 09.06.2010 წლის №04/2396 წერილები დისველის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ.” საკითხი მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას, რომელიც იყოფა ორ კატეგორიად:

1. მუნიციპალიტეტების (ბოლნისისა და თეთრი წყაროს) საზღვრების შეცვლა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და გადაჭრა;

2. მუნიციპალიტეტის (ბოლნისი) საზღვრებში დასახლებების (ქ.ბოლნისისა და ,,სოფელ დისველის”) საზღვრების შეცვლა, დადგენა, ამასთან დაკავშირებით სქემატური რუკების დადგენა, ტერიტორიული ორგანოს ან ორგანოების შექმნის შესახებ გადაწვეტილების მიღება.

,,სოფელ დისველის" მოქალაქეთა კოლექტიურ განცხადებაში მოთხოვნილია თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ ნაწილის, რომელიც დისველის მიმდებარედ მდებარეობს, ბოლნისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემა შემდგომში მათთვის (მოსახლეობისათვის) გადაცემის მიზნით. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 12-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა საკუთრი ინიციატივით საკრებულოებთნ, მათ მოსახლეობასთან კონსულტაციის გზით ან საკრებულოების წარდგინების საფუძველზე მიმართვს საქართველოს პარლამენტს მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებით, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლის წარდგინებაში მიეთითება:

ა)მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;
ბ)მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლის თაობაზე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;

გ)მუნიციპალიტეტების ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-4-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 04.03.2008 წლის №110 ბრძანებულების ,,დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის, დასახლებისათვის სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესის შესახებ" შესაბამისად,
მუნიციპალიტეტის საკრებულო დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) შექმნის ან გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შუამდგომლობით მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) დასახლების შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) შესაქმნელ/გასაუქმებელ დასახლებაში მოსახლეთა რიცხოვნობა;

გ) შესაქმნელი/გასაუქმებელი დასახლების სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

სოფლის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელია, დასახლება (სოფელი) აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა)მის საზღვრებში მოქცეული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები;

ბ)მისი ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

გ) დასახლების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი გუბერნატორის მიერ საკრებულოების შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქართველოს პრეზიდენტის 04.03.2008 წლის №110 ბრძანებულების ,,დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის, დასახლებისათვის სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესის შესახებ" მე-5-ე მუხლის შესაბამისად, თუ დასახლების(ქალაქი, სოფელი) შექმნა/გაუქმება, მათი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა, იწვევს მუნიციპალიტეტების საზღვრების შეცვლას, ზემოთხსენებული პროცედურები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

კომისიის რეკომენდაციით უმჯობესი იქნება დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ზემოაღნიშნული საკითხები შეისწავლოს სრულყოფილად (კომპლექსურად) და დოკუმენტალურად.

3. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა; ზურაბ დავითაშვილმა; აჯისაიათ ალიევი; ვაგან არუთინიანმა.

3. დაადგინეს:

დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას საკითხის სრულყოფილი შესწავლა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საკრებულოსათვის წარმოდგენა.

4. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო გამგეობიდან №07-1/680 28.06.2010წ შემოსული წერილი ,,სოფ. რატევანში მდებარე 200კვ.მ საკადასტრო კოდი 80,09,63,026.და სოფ. ქვემო არქევანში მდებარე 111კვ.მ საკადასტრო კოდი 80.03.62.008. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზაციო ნუსხაში ჩასმის შესახებ" ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ფ'' ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, მალხაზ ერაძემ, ზურაბ დავითაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

4. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,, სოფ. რატევანში მდებარე 200კვ.მ და სოფ. ქვემო არქევანში მდებარე 111კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზაციო ნუსხაში ჩასმის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება № 12** თან ერთვის)

5. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც სოციალური პაკეტის წარდგენისათვის მიმართა თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს.

ისამილ მამედოვს -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: ნათელა ყაფლანიშვილისათვის; ფატინა ავქოფაშვილისათვის; სვეტლანა ჯოპუასათვის; ირინა ყაზაროვასათვის; მარინა ჯალაღანიასათვის; ჩინგიზ ალანდაროვისათვის; ვალერიან კვერნაძისათვის; მეგი ფრუიძისათვის; ირინა ჭანტურიასათვის; ნათელა ჩუთლაშვილისათვის; ნაილი ბარათაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც დახმარებას უწევს მოქალაქეთა სოციალურად დაუცველ ფენას გარკვეული კატეგორიების მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა ასევე ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობისას სამსახურის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე საკითხის საკრებულოზე განხილვას, აქ წარმოდგენილი პროექტები განეკუთვნება სწორედ ამ შემთხვევას.

5. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, კარა გულმამედოვმა, ნინო დვალიშვილმა, გულუ ახმედოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ნადირ აბასოვმა, შერმადინ დადვანმა.

მალხაზ ერაძემ -- ითხოვა საკრებულოსაგან მოქალაქე ფატინა ავქოფაშვილისათვის მატერიალური დახმარების თანხის გაზრდა 100 დან 200-მდე, ვინაიდან მოქალქე ფატინა ავქოფაშვილი იმყოფება მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, იგი ზრდის მცირეწლოვან შვილიშვილს რომელიც მიატოვეს მშობლებმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

5. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№ 13-23** თან ერთვის)

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №4

ქ. ბოლნისი **21.07. 2010წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნურადინ ალაზოვი, ვაგან არუთინიანი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, შერმადინ დადვანი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

გიორგი მათეშვილი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო--

საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების

განყოფილების უფროსი.

ნიკოლოზ კაპანაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

შავლეგო მუშკუდიანი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ნოდარ საბიაშვილმა --საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება 13 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წვერებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: კარა გულმამედოვი

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

3. მოქალაქე არსენ ბარამიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

4. მოქალაქე ევგენია ჯაყელისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

5. მოქალაქე ეთარ ასკაროვასათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

6. მოქალაქე თამილა ასათიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

7. მოქალაქე ნელი ავქოფაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

ნოდარ საბიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აქვე სთხოვა საფინანსო--საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროს გიორგი მათეშვილს მოახსენოს საკრებულოს დამტკიცებულ შესყიდვების გეგმაში შესული კონკრეტული ცვლილებები.

გიორგი მათეშვილი-- კერძოდ: დამტკიცებულ შესყიდვების გეგმაში შევიდა შემდეგი ცვლილებები: 10000 ლარით შემცირდა აუდიტორული მომსახურების შესყიდვა. შესყიდვების გეგმაში ნაცვლად 30000 ლარისა სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 20000 ლარი. (შესყიდვების გეგმა დანართი №1 დაფინანსების წყარო-ადგილობრივი ბიუჯეტი). შესაბამისად, 10000 ლარი დაემატა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების გამოქვეყნების მომსახურეობის შესყიდვას (შესყიდვების გეგმაში სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 10000 ლარით. (შესყიდვების გეგმა დანართი №1 დაფინანსების წყარო-ადგილობრივი ბიუჯეტი).

1. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, კარა გულმამედოვმა,

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

1. **დაადგინეს:**

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №24** თან ერთვის)

2. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული კომისია იქმნება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. იგი განიხილავს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ განცხადებებს.

2. **აზრი გამოთქვეს:**

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ისმაილ მამედოვმა, ზურაბ დავითაშვილმა,

2. **დაადგინეს:**

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ.“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №25** თან ერთვის)

3. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც სოციალური პაკეტის წარდგენისათვის მიმართა თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს.

ისამილ მამედოვს -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: არსენ ბარამიძისათვის, ევგენია ჯაყელისათვის, ეთერ ასკაროვასათვის, თამილა ასათიანისათვის, ნელი ავქოფაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც დახმარებას უწევს მოქალაქეთა სოციალურად დაუცველ ფენას გარკვეული კატეგორიების მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა ასევე ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობისას სამსახურის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე საკითხის საკრებულოზე განხილვას, აქ წარმოდგენილი პროექტები განეკუთვნება სწორედ ამ შემთხვევას.

3. აზრი გამოთქვეს:

მალხაზ ერაძემ -- ითხოვა საკრებულოსაგან მოქალაქე ნელი ავქოფაშვილისათვის მატერიალური დახმარების თანხის გაზრდა 200 დან 500-მდე, ვინაიდან მოქალქე ნელი ავქოფაშვილი იმყოფება მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, არის მარტოხელა, ივნალიდი, შრომის უუნარო, მას არ აქვს ელ. ენერგია და ბუნებრივი აირი. არის სიღატაკის ზღვარზე და ამავდროულად ონკოლოგიური ავადმყოფი.

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№26-30** თან ერთვის)

ნოდარ საბიაშვილმა სხდომის დასასრულს საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება შპს ,,კომუნალური მეურნეობისათვის“ წმინდა მოგების 8185 ლარის შ.პ.ს-თვის დატოვების შესახებ მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით კერძოდ: შპს ,,კომუნალურმა მეურნეობა“ წმინდა მოგებით

აპირებს მეეზოვეებისათვის უნიფორმების შეძენას, ახალი სანაგვე ურნების და სათიბი აპარატის შეძენას. შ.პ.ს ,,კომუნალური მეურნეობის“ 100% წილის მფლობელია მუნიციპალიტეტი, მის მიერ მიღებული წმინდა მოგება კანონმდებლობის შესაბამისად რჩება დამფუძნებელი პარტნიორის ბიუჯეტში, ანუ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში. შ.პ.ს ,,კომუნალურ მეურნეობამ“ მომართა მუნიციპალიტეტს (დამფუძნებელ პარტნიორს) წმინდა მოგების შ.პ.ს.-სათვის დატოვების თხოვნით, რომელიც ესაჭიროება მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. რამდენადაც მუნიციპალიტეტს სახელით კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე, ნოდარ საბიაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება წმინდა მოგება შპს ,,კომუნალური მეურნეობისათვის“ დატოვებაზე.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №5

ქ. ბოლნისი **30.07. 2010წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, რუსუდან შინიძე, გულუ ახმედოვი, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ვაგან არუთინიანი, თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, შერმადინ დადვანი, ზოია როსტომიანი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

გოჩა თაგვაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის უფროსი

საკრებულოს სხდომას ესწრება 18 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის ზოია როსტომიანისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

4. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: იმრან სარდაროვი ვლადიმერ გოგოლაძე

5. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

6. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: კარა გულმამედოვი ვლადიმერ გოგოლაძე

7. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი ვლადიმერ გოგოლაძე

8. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

9. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

10. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

11. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №226 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

12. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი, ვლადიმერ გოგოლაძე

13. მოქალაქე მაია ქალდანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

14. მოქალაქე ლელა მაღრაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

15. მოქალაქე მარინა ქობულაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

16. მოქალაქე მერი მელაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

17. მოქალაქე გია ნინიაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

18. მოქალაქე ალექსანდრა ასლამაზიშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის ესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

19. მოქალაქე თინა ყაველაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

20. მოქალაქე მარფა ავქოფაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

21. მოქალაქე იზოლდა მაღალდაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

22. მოქალაქე ეთერ ბალახაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

23. მოქალაქე ლეილა საღლიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

24. მოქალაქე მაია პაპიაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

25. მოქალაქე ნათია ქურდიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

26. მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების გასხვისების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის ზოია როსტომიანისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული პროცედურული საკითხები.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე--,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ორგანული

კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი”-სა და №23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2010 წლის 28 ივლისის №33/2010 განკარგულების შესაბამისად, იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიამ შეისწავლა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მისი დასკვნით ცნობილ უნდა იქნეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პარტიული სიით არჩეული ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნოდარ ინაძის (პარტიულ სიაში №2) ადგილმონაცვლედ ამავე პარტიული სიით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატის ზოია როსტომიანის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება (პარტიულ სიაში №11).

1. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

1. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის ზოია როსტომიანისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება № 31** თან ერთვის)

2. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს --საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე --საკრებულოს დებულება (რეგლამენტი), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს, რეგლამენტით განსაზღვრული და დაკონკრეტებულია საკრებულოს მიერ განსახორციელებელი ურთიერთობები და პროცედურული საკითხები.

2. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 2** თან ერთვის)

3. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულება, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საკრებულოს დებულების შესაბამისად განსაზღვრავს კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურას და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. კომისია:

აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა დაცვას;

ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ;

შეისწავლის საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს;

განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას;

შეისწავლის ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო მასალებს და საკრებულოს უახლოეს სხდომას წარუდგენს შესაბამის დასკვნას;

საკრებულოს უახლოეს სხდომას აცნობებს ფრაქციის გაუქმებისა და ფრაქციის შემადგენლობიდან წევრის გასვლის ფაქტს; ცნობად იღებს ფრაქციიდან წევრის გარიცხვის, აგრეთვე ფრაქციის თავმჯდომარისა და სხვა ხელმძღვანელი პირების არჩევის, გადაყენების, გადადგომის, ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ ინფორმაციას, რის შესახებაც აცნობებს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს უახლოეს სხდომას;

საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრულ შემთხვევებში ასრულებს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის ფუნქციებს, ადგენს ფარული კენჭისყრის გამართვის ადგილსა და ბიულეტენის ფორმას; ითვლის და აცხადებს ფარული კენჭისყრის შედეგებს;

შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის დადგენის შესახებ;

შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურეობრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვის, თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთათვის ატესტაციებისა და კონკურსების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა

და გადამზადების საკითხებზე; კონტროლს უწევს აღნიშნულ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და გატარებულ ღონისძიებათა განხორციელებას;

განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრის, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის, თანამდებობრივი ინსტრუქციების, სამუშაოთა აღწერილობებისა და ანგარიშგების შედგენის, ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ; აკონტროლებს საკრებულოს მიერ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაცვას და შესრულებას;

განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის, გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებათა პროექტების და მათში ცვლილებების შეტანის საკითხებზე;

ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. აზრი გამოთქვეს:

ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა, ჯონი ხეცურიანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №3** თან ერთვის)

4. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე--ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის დებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად განსაზღვრავს კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. კომისია:

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის მიერ უფლებამოსილებების განხორციელებისას მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შესახებ;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოთა/პირთა მიერ სამართლებრივი აქტების მიღებისას/გამოცემისას მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევის შემთხვევების შესახებ;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს მუნიციპალიტეტსა და ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილი თანამშრომლობის შესახებ;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების/პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების შესახებ;

საკითხების, მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტების წინასწარი განხილვისას საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს რეკომენდაციებსა და დასკვნებს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის თავიდან აცილებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის შესახებ;

ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. აზრი გამოთქვეს:

რამიზ სოფუევმა, ჯონი ხეცურიანმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, კარა გულმამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

4. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №4** თან ერთვის)

5. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულება, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად განსაზღვრავს კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს:

კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი განაკვეთების განსაზღვრისა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენის შესახებ;

სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენის შესახებ;

ადგილობრივი შესყიდვების დაგეგმვისა და ადგილობრივი შესყიდვების გეგმების პროექტის შესახებ;

გრანტის მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ნებართვით სესხის აღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესახებ;

თვითმმართველი ერთეულის ქონების შეძენის, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ;

კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის პროექტის დამტკიცების; თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების პროგრამების და ამ პროგრამების შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის; თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონით ფორმის პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დადგენის შესახებ;

ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ;

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონების) დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

განიხილავს თვითმმართველი ერთეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ;

განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

განიხილავს ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების და გეგმების პროექტებს საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და

გრაფიკების განსაზღვრის, ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, ავტომანქანის პარკირების მარეგულირებელი ნორმების დადგენის შესახებ;

განიხილავს სატრანსპორტო სისტემის განვითარების ადგილობრივ პროგრამების პროექტებს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას ამ პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების, ბაზრებისა და ბაზრობებისათვის ადგილების გამოყოფის და ორგანიზების წესების შესახებ;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენასთან დაკავშირებით;

5. აზრი გამოთქვეს:

რამიზ სოფუევმა, ზურაბ დავითაშვილმა, რუსუდან შაინიძემ, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

5. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 5** თან ერთვის)

6. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე --იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე --საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულება, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად განსაზღვრავს კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. კომისია:

აკონტროლებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს; გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს;

განიხილავს, ამზადებს დასკვნას და თანამომხსენებლად გამოდის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის, აგრეთვე ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაზე;

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78–ე მუხლის მე–6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს წარუდგენს დასკვნას საკრებულოს ფრაქციის ან/და საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიციირებული ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისათვის გაგზავნილი შენიშვნებთან შესაბამისობის შესახებ;

განიხილავს და ამზადებს დასკვნას გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 82–ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ბიუჯეტის ყოველთვიური და ყოველკვარტალური განწერის შესახებ;

ყოველთვიურად განიხილავს გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 84–ე მუხლის მე–4 ნაწილის შესაბამისად მომზადებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით წარმოდგენილ ანგარიშს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს;

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85–ე მუხლის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიერ მომზადებულ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს;

შეიმუშავებს წინადადებებსა და დასკვნებს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე შეღავათების დადგენის, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ;

შეიმუშავებს წინადადებებსა და დასკვნებს ადგილობრივ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის შექმნის და მისი განკარგვის წესების შესახებ, სამ თვეში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ინფორმაციას სარეზერვო ფონდის გამოყენების შესახებ;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღების და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებაზე მუნიციპალური ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრისა, აგრეთვე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების პროექტის თაობაზე;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებაზე;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემაზე ისეთ გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;

განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ პროექტების შესაძლო შედეგების საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშების მართებულობის შესახებ;

განიხილავს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 57–ე მუხლის მე–2 და მე–3 პუნქტებით დადგენილი აუდიტორული შემოწმების ანაგარიშს და დასკვნას, აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; ნიშნავს საკრებულოს სხდომაზე კომისიიდან თანამოხსენებელს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისას;

ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, კარა გულმამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

6. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №6** თან ერთვის)

7. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად განსაზღვრავს კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს:

განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ფორმით შექმნისა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;

ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიურ მომსახურების საკითხების შესახებ;

მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების დაფინანსების შესახებ;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ.

კომისია ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. აზრი გამოთქვეს:

ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ისმაილ მამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

7. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 7** თან ერთვის)

8. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე --იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- საკრებულოს აპარატის დებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37–ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს აპარატის უფლებამოსილებას, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობებს. აპარატის ფუნქციებია:

ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების, აგრეთვე საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარება. უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება;

მოამზადოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმების პროექტები, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომაზე განსახილველი საკითხები და ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი მასალები;

ორგანიზება გაუწიოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების, აგრეთვე საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;

ორგანიზაციული მომსახურება გაუწიოს საკრებულოს წევრებს მათ უფლებამოსილების განხორციელებაში;

უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა, სხდომის ოქმების წარმოება, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაცია, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზება, კენჭისყრისას ხმების დათვლა;

ორგანიზება გაუწიოს საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას;

ორგანიზაციულად უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს დროებითი საუშაო ჯგუფების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობა, უზრუნველყოს საკრებულოს თანამდებობის პიორებთან და საკრებულოს წევრებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, შესაბამისი მასალების მომზადება, დავალებათა აღრიცხვა და კონტროლი მათ შესრულებაზე.

განახორციელოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს და საკრებულოს კომისიათა საკონსულტაციო ორგანოების სხდომების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ორგანიზაციულად უზრუნველყოს სხდომებზე წესრიგის დაცვისათვის საკრებულოს შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის ხელშეწყობა, კენჭისყრის პროცედურის ჩატარება, ხმების დათვლა, სხდომის ოქმების შედგენა, სხდომაზე გამოთქმულ წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა, მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება, რედაქტირება, რეგისტრაცია და გამოქვეყნება;

სხდომებზე მოწვეულ პირთა გაფრთხილება და მოწვევა, მათი რეგისტრაცია;

სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების გამრავლება და დარიგება;

საკრებულოს წევრებისათვის ორგანიზაციული დახმარების გაწევა კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

ინიცირების წესით შემოსულ საკითხთა რეგისტრაცია;

გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და აღსრულების პროცედურულ საკითხთა შესრულების უზრუნველყოფა;

საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე საკრებულოს წლიურ სამუშაო გეგმის პროექტის მომზადება, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ვადების დაცვის კონტროლი;

საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება.

8. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა, კარა გულმამედოვმა, ისმაილ მამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

8. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 8** თან ერთვის)

9. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებაში განხორციელებული ცვლიებების შესაბამისად მომზადებულ იქნა ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი და განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები ერთი ნორმატიული აქტით და ამავდროულად ძალადაკარგულად გამოცხადდა დღემდე მოქმედი ნორმატიული აქტები, რომლებიც ცალ-ცალკე არეგულირებდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის და მუნიციპალიტეტის დანარჩენ მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს.

9. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, რუსუდან შაინიძემ, მალხაზ ერაძემ.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

9. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №9** თან ერთვის)

10. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მოეხსენებინა საკრებულოსათვის 2010 წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

ჯონი ხეცურიანი --ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში და დადგენილების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების №1 და №2 დანართებით განსაზღვრული (ქვეშის ტერიტორიული ორგანო) უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. ზემოაღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ქვეშის ტერიტორიულ ორგანოს სოფელ კიანეთში არსებულ პირობით სარწყავ ფართობებზე ქონების გადასახადის შემცირების შესახებ,

ვინაიდან წლების განმავლობაში და ახლო პერსპექტივაშიც აღნიშნული ნაკვეთების გასარწყავიანება არ იგეგმება.

10. აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, მალხაზ ერაძემ, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

10. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 10** თან ერთვის)

11. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს -- ეკონომიკურს საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №226 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ჯონი ხეცურიანი --ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №226 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ კერძოდ: დადგენილების 1-ლი ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტები და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. ზემოაღნიშნული ცვლილებები განპირობებულია ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდისათვის კერძოდ: წლიური ქირა უძრავ და მოძრავ ნივთებზე 5%-ის მაგივრად სასურველია გაიზარდოს 10%-მდე.

11. აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, მალხაზ ერაძემ, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

11. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №226 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №11** თან ერთვის)

12. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს -- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა საკითხი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ისამილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, განკარგულების პროექტი ეხება სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის გარკვეულ ცვლილებას. კერძოდ: ერთ-ერთი კატეგორიის - ფსორიაზით დაავადებული მოქალაქეების, რომლის სრულ დაფინანსებასაც ითვალისწინებს მუნიციპალური პროგრამა განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა შეიცვლება და აღნიშნული დახმარება გაეწევა მხოლოდ სოციალურად დაუცველ იმ კატეგორიას რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

12. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

12. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება № 32** თან ერთვის)

13. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს -- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ სოციალური პაკეტი.

ისამილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: მაია ქალდანისათვის, ლელა მაღრაძისათვის, მარინა ქობულაძისათვის, მერი მელაშვილისათვის, გია ნინიაშვილისათვის, ალექსანდრა ასლამაზიშვილისათვის, თინა ყაველაშვილისათვის, მარფა ავქოფაშვილისათვის, იზოლდა მაღალდაძისათვის, ეთერ ბალახაძისათვის, ლეილა საღლიანისათვის, მაია პაპიაშვილისათვის, ნათია ქურდიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც დახმარებას უწევს მოქალაქეთა სოციალურად დაუცველ ფენას გარკვეული კატეგორიების მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა ასევე ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობისას სამსახურის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე საკითხის საკრებულოზე განხილვას, აქ წარმოდგენილი პროექტები განეკუთვნება სწორედ ამ შემთხვევას.

13. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა -- ითხოვა საკრებულოსაგან მოქალაქე მერი მელაშვილისათვის მატერიალური დახმარების თანხის გაზრდა 100 დან 200-მდე, ვინაიდან მოქალქე მერი მელაშვილი არის მოხუცი პენსიონერი, იმყოფება მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მახო ერაძემ--ითხოვა საკრებულოსაგან მოქალაქე თინა ყაველაშვილისათვის მატერიალური დახმარების თანხის გაზრდა 100 დან 200-მდე, ვინაიდან მოქალქე თინა ყაველაშვილი და მისი მეუღლე არიან პენსიონრები, მეუღლე ყავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, არის ჩავარდნილი ავადმყოფი. მათი ოჯახი რეგისტრირებული არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ვლადიმერ გოგოლაძემ, შერმადინ დადვანმა, რუსუდან შაინიძემ, მალხაზ ერაძემ, კარა გულმამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

13. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები შესაბამისი ცვლილებებით ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№33-45** თან ერთვის)

14. ნოდარ საბიაშვილმა - საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოსადმი მიმართვის წერილი, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბოლნისში, დაბა კაზრეთში, სოფელ რატევანსა და სოფელ ნახიდურში არსებული სპორტული სტადიონების მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის მოთხოვნას, რომლის საფუძველია ადგილობრივი მოსწავლე - ახალგაზრდობის ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მათი სპორტული დაოსტატებისა და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

საკრებულოს მიერ მოწონებული იქნა აღნიშნული საკითხი.

15. ნოდარ საბიაშვილმა სთხოვა **ჯონი ხეცურიანს** -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს საკრებულოსათვის გაეცნო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წ 23 ივლისის №16/2343 წერილი.

ჯონი ხეცურიანი -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების საფუძველზე ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა სადაზღვეო კომპანია ,,აისი ჯგუფმა“. აღნიშნულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება ააშენოს ქ. ბოლნისში საავადმყოფო 15 საწოლზე, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით. გარკვეული პერიოდი ქ. ბოლნისში მიმდინარეობდა მათ მიერ შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა. საბოლოოდ შერჩეული იქნა ,,რაისაავადმყოფოს“ შენობის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი. ამასთანავე შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე გაჩნდა მოთხოვნა მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელზე დარეგისტრირებულ 687 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს ბულვარის ნაწილს. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან დაისვა საკითხი აღნიშნულ 687 კვ.მ

მიწაზე მუნიციპალიტეტის მიერ საკუთრების უფლების მიტოვებისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

ვინაიდან აღნიშნული ნაკვეთი დარეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გამგეობის სახელზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების ,,უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ , შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა მიმართოს გამგებელმა წერილით შესაბამისი საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ. ამასთანავე გამგეობამ შემდგომ მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოახდინოს მის სახელზე დარეგისტრირებული ქონების ჩასწორება მუნიციპალიტეტის სახელზე.

სხდომის დასასრულს ფრაქცია ,,ჩვენ თითონ“ თავმჯდომარემ ზურაბ დავითაშვილმა დააყენა საკითხი რუსეთ საქრთველოს ომის დროს 2008 წლის აგვისტოს თვეში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. ერთ-ერთი მათგანის კერძოდ: საბა დადვანის ოჯახის მატერიალური დახმარების საკითხი განიხილა საკრებულომ, ვინაიდან ბოლნისიდან ომში დაღუპულები სამნი არიან მიზანშეწონილად მიაჩნია ყველა მათგანის ოჯახს გაეწიოს დახმარება, თანაც მათი დაღუპვიდან 2 წელი სრულდება.

საკრებულოს მიერ მოწონებული იქნა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგეობას გაითვალისწინოს ყველა მათგანის დაფინასების საკითხი. ასევე ეთხოვა მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯან.დაცვის, სოციალური დახმარების, ვეტერენთა საქმეებისა და მიგრაციის სამსახურის უფროსს გოჩა თაგვაძეს უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და საკრებულოს შემდეგ სხდომაზე წარმოდგენა.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №6

ქ. ბოლნისი **06.08. 2010წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, რახილ ფატულაევი; იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნინო დვალიშვილი; რუსუდან შაინიძე, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ნადირ აბასოვი; თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, მალხაზ ერაძე, შერმადინ დადვანი, კობა ბასილაშვილი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

იოსებ ლალიაშვილი -- მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ხომასურიძე -- მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

გოჩა თაგვაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის უფროსი

ლევან მდივანი -- ქონების მართვის განყოფილების უფროსი

გიორგი მათეშვილი -- საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

პეტრე დანელია -- ქალაქ ბოლნისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული

საკრებულოს სხდომას ესწრება 19 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ”ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

3. 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

4. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის კობა ბასილაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

5. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიოტიაზე 2010წლის 22 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამტკიცევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

6. მოქალაქე შორენა ჯოხაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

7. მოქალაქე ვლადიმერ ყაფლანიშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

8. მოქალაქე ლალი ღარიბაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

9. მოქალაქე ნელი მაისურაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

10.მოქალაქე დოდო მოდებაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

11. მოქალაქე ნინა ლიპარტელიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

12. მოქალაქე პარასკევა ჩამურდოვასათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

13. მოქალაქე ნათია მინდიაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

14. მოქალაქე ლუბა მაღრაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

15. მოქალაქე ინგა ავქოფაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

16. მოქალაქე რუსუდან შაინიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

17. მოქალაქე გიორგი სამხარაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

18. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მოთხოვნის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **სოლომონ ჩარკვიანს** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის N217 დადგენილებაში „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

1. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ზურა დავითაშვილმა; შერმადინ დადვანმა.

1. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №12** თან ერთვის)

2.მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადენილების პოექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -- ეს დებულება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში - გამგეობა) სტრუქტურას, გამგეობის თანამდებობის პირების, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებებსა და მუშაობის ორგანიზებას.

2. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, მალხაზ ერძემ, ისმაილ მამედოვმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №13** თან ერთვის)

3. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აქვე სთხოვა საფინანსო--საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროს **გიორგი მათეშვილს** მოახსენოს საკრებულოს დამტკიცებულ შესყიდვების გეგმაში შესული კონკრეტული ცვლილებები.

გიორგი მათეშვილი-- კერძოდ: განხორციელებული შესყიდვების შედეგად: 97830 ლარით შემცირდა ქ. ბოლნისში საკანალიზაციო წყლის გამწმენდი ნაგებობის სამუშაოების შესყიდვა 15160 ლარით შემცირდა სოფელ ხატისოფლის სასმელი წყლის ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, 49000 ლარით შემცირდა დაბა კაზრეთში მრავალ სართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. 8610 ლარით შემცირდა სკვერებისა და ბულვარების აღდგენა რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა. 1000 ლარით შემცირდა საკანონმდებლო ლიტერატურის შესყიდვა, 700 ლარით შემცირდა ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. 41000 ლარით შემცირდა სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებები. შემცირების საერთო რაოდენობამ შეადგინა 220300 ლარი. აღნიშნული თანხები გადანაწილდა შემდეგი სახით: 10000 ლარი დაემატა სატელევიზიო მომსახურების შესყიდვას; 700 ლარი დაემატა სარეკლამო მომსახურების შესყიდვას. 1600 ლარი დაემატა წყლის დისპანსერების შესყიდვას. 1500 ლარი დაემატა №5 ბაგა-ბაღში იატაკის მოხვეწის სამუშაოების შესყიდვას. 8800 ლარი დაემატა №4 ბაგა-ბაღში წყალსადენ კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას. 14450 დაემატა სოფელ რატევანში ბაგა-ბაღში წყალსადენ კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას. 50600 ლარი დაემატა დაბა თამარისში სახურავისა და წყალსადენ კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას. 7850 ლარი დაემატა სოფელ ტანძიაში წყალსადენის შიდა ქსელის სამუშაოების შესყიდვას. 35500 ლარი დაემატა სოფელ ხატისოფელში წყალსადენის შიდა ქსელის სამუშაოების შესყიდვას. 20100 ლარი დაემატა ქ. ბოლნისში გაჩერებების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას. 53500 ლარი დაემატა სოფელ ტანძიაში სს. ორბელიანის სახლმუზეუმის და საავტომობილო გზის გარე განათების ქსელის სამუშაოების შესყიდვას. 14000 ლარი დაემატა ქ. ბოლნისში ძველი ელ. ბოძებიდან გარე განათების სანათების დემონტაჟისა და ახალ ელ. ბოძებზე მონტაჟის სამუშაოების შესყიდვას. 1000 ლარი დაემატა სახელმწიფო დროშების შესყიდვას და 700 ლარი დაემატა მობილურების შესყიდვას. 13100 ლარით შემცირდა ვიდეო სათვალთვალო კამერების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა, 1000 ლარით შემცირდა შსს ,,რაიონული სამმართველოსათვის“ ტელევიზორის შესყიდვა. 5000 ლარით შსს ,,რაიონული სამმართველოსათვის“ საოფისე ინვენტარის შესყიდვა. აღნიშნული თანხები დაემატა 9100 ლარით გაიზარდა საწვავის შესყიდვა. 10 000 ლარი დაემატა პერსონალური კომპიუტერის შესყიდვას. 16830 ლარით შემცირდა ქ. ბოლნისში საკანალიზაციო წყლის გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვას. 16830 ლარით გაიზარდა ქ. ბოლნისში საკანალიზაციო წყლის გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. საქართველოს მთავრობის განკარგულებით (განკარგულება №41 13.01.2010წ) ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №241 დადგენილების შესაბამისად ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 950636 ლარი. 715,5 ლარით შემცირდა სოფ. ბალახაურში სასმელი წყლის ქსელის გამოყვანისა და წყაროების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. შესაბამისად გაიზარდა სოფ. ბალახაურის სარიტუალო

აღჭურვილობის შესყიდვა. 544 ლარით შემცირდა სოფ. მუხრანაში სასმელი წყლის ქსელის გაყვანისა და წყაროების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. შესაბამისად გაიზარდა სოფ. მუხრანასათვის სარიტუალო აღჭურვილობის შესყიდვა. 690,6 ლარით შემცირდა სოფ. ბოლნისში სასმელი წყლის ქსელის გაყვანის სამუშაოების შესყიდვა. შესაბამისად 690.6 ლარით გაიზარდა სოფ. ბოლნისისათვის სამშენებლო მასალების შესყიდვა. 976.4 ლარით შემცირდა სოფელ ქვეშში საჯარო სკოლის ეზოში სტადიონის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა. შესაბამისად გაიზარდა სოფ. ქვეშისათვის სამშენებლო მასალების შესყიდვა.

3. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნუგზარ ყაფლანიშვილმა სთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებელს იოსებ ლალიაშვილს დაბა კაზრეთში სამი ორსართულიანი კორპუსის სახურავების შეკეთების დაფინანსების გათვალისწინება. დაბაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვის სამუშაოები და კარგი იქნებოდა თუკი დარჩენილი რამდენიმე კორპუსი, რომელიც მართლა სავალალო მდგომარეობაშია სამომავლოდ გათვალისწინებული იქნებოდა მათი შეკეთებაც. აქვე დააყენა საკითხი საბავშვო ბაგა-ბაღში ჯგუფის დამატების შესახებ; მიუხედავთ იმისა რომ გასულ წელს ბაღს დაემატა ერთი ჯგუფი ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; ძალიან ბევრი მსურველია ბაღში ბავშვების შეყვანისა მაგრამ სამწუხაროს ბაღს არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ნაკადი.

იოსებ ლალიაშვილი -- სახურავებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი მზადაა მონაწილეობა მიიღოს და თანადაფინანსების პრინციპით დაეხმაროს ყველა კორპუსს, ამისათვის უნდა შეიქმნას ადგილებზე ამხანაგობები 30% უნდა დაფინანსდეს ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან და 70% -ს დააფინანსებს მუნიციპალიტეტი. სხვაგვარად ამგვარი საკითხების მოგვარება შეუძლებელია. დედაქალაქში მოქმედებს 50/50 პრინციპი, მგრამ ჩვენ გვირჩევნია დავაფინანსოთ 70% და მიზერული ნაწილი იყოს მოქალაქეების დასაფინანსებელი რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას ერთხელ და სამუდამოდ სახურავების პრობლემა დაბა კაზრეთში. მეორე საკითხთან დაკავშირებით იოსებ ლალიაშვილმა განმარტა, რომ სამომავლოდ იგეგმება კიდევ ერთი საბავშვო-ბაღის რეაბილიტაცია, მოსახლეობისაგან მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნის გამო.

შერმადინ დადვანმა -- სთოვა მუნიციპალიტეტის გამგებელს სოფელ ტანძიაში მიმდინარე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით, თუკი შესაძლებელი იქნებოდა ს.ს.ორბელიანის სახლმუზეუმისა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით დამონტაჟებულიყო სამი ერთეული გარე განათების მოძი, რაზედაც მან დადებითი პასუხი მიიღო.

შესყიდვების გეგმასთან დაკავშირებული დისკუსია შეწყდა და ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N46** თან ერთვის)

4. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის კობა ბასილაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ საკითხთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული პროცედურული საკითხები.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე--,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-სა და №23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2010 წლის 2 აგვისტოს №34/2010 განკარგულების შესაბამისად, იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიამ შეისწავლა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მისი დასკვნით ცნობილ უნდა იქნეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით არჩეული ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ემზარ სუბელიანის (პარტიულ სიაში №7) ადგილმონაცვლედ ამავე პარტიული სიით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატის კობა ბასილაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება (პარტიულ სიაში №13).

4. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, შერმადინ დადვანმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

4. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის კობა ბასილაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება № 47** თან ერთვის)

5. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2010 წლის 22 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მოყენებული ზარალის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ.

ჯონი ხეცურიანი ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; 2010 წლის 22 ივნისის მომხდარმა სტიქიამ (სეტყვა, ქარიშხალი) ნაწილობრივ დააზიანა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები. ზიანის დადგენის მიზნით.მუნიციპალიტეტის გამგებლის 23.06.2010. წლის №404 ბრძანებით, შეიქმნა ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით მიყენებული ზარალის დამდგენი კომისია", რომელმაც შეისწავლა და წარმოადგინა დასკვნა სტიქიისაგან ქ. ბოლნისის დისველის ტერიტორიის, სოფლების: რატევნის, მუხრანას და მამხუტის თემების მოსახლეობის კერძო მესაკუთრეებისა და

მოიჯარეებისათვის მიყენებული ზიანის ხარისხის შესახებ, რის გამოც საკრებულოს მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული მიწის მესაკუთრეებისა და მოიჯარეების გათავისუფლება ქონების გადასახდისაგან.

5. აზრი გამოთქვეს:

ნუგზარ ყაფლანიშვილმა, შერმადინ დადვანმა, რამიზ სოფუევმა, იმრან სარდაროვმა; აჯისაიათ ალიევმა;

პეტრე დანელია -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით მიყენებული ზარალის დამდეგნი კომისიის თავმჯდომარე. სტიქიასთან დაკავშირებული ყველა განცხადება, რომელიც დაიწერა მოიჯარეებისა და კერო მიწის მფლობელების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ორჯერ ერთხელ სტიქიის შემდეგ და მეორედ მოსავლის აღების წინ. დაფიქსირდა ისეთი ფაქტები, როდესაც არ იყო საერთოდ ნაკვეთზე დათესილი, მაგრამ განცხადება იყო შემოსული თითქოს დაზარალდა მფლობელი, რა თქმა უნდა ასეთი განცხადებები გაიცხრილა და კომისიამ წარმოადგინა აბსულუტურად რეალური და ობიექტური სურათი იმ მოიჯარეებისა დაკერო მიწის მფლობელების შესახებ, რომელთაც ნამდვილად განიცადეს სტიქიის შედეგად ზიანი.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

5. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2010 წლის 22 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მოყენებული ზარალის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება № 48** თან ერთვის)

6. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს -- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ სოციალური პაკეტი.

ისამილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: შორენა ჯოხაძისათვის; ლუბა მაღრაძისათვის; ვლადიმერ ყაფლანიშვილისათვის; ლალი ღარიბაშვილისათვის; ნელი მაისურაძისათვის; დოდო მოდებაძისათვის; ნინა ლიპარტელიანისათვის; პარასკევა ჩამურდოვასათვის; ნათია მინდიაშვილისათვის; ინგა ავქოფაშვილისათვის; რუსუდან შაინიძისათვის; გიორგი სამხარაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები.

6. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა; შერმადინ დადვანმა, მალხაზ ერაძემ; კობა ბასილაშვილმა

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№49-60** თან ერთვის)

სხდომის დასასრულს ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს გააცნო ქონების ჩამონათვალი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია და მუნიციპალიტეტი ითხოვს მის გადმოცემას დამატებითი ქონების სახით. კერძოდ შპს ,, სიონი-მ“ -ის საწესდებო კაპიტალიდან შენობა-ნაგებობის ამოღებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ; ყოფილი სამხედრო ნაწილის გადმოცემის შესახებ; ქ. ბოლნისში ს.ს. ორბელიანის ქუჩა N 115-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გადმოცემის შესახებ; ქ. ბოლნისში ს.ს. ორბელიანის ქუჩა N 102ბ-ში მდებარე შენობა-ნაგებობის გადმოცემის შესახებ; ასევე დაბა კაზრეთში მდებარე ყოფილი საზაფხულო კინო-თეატრის, სოფელ ქვ. არქევანის ყოფილი კლუბის; სოფელ ტანძიის ყოფილი უნივერსამის; სოფელ დარბაზის ყოფილი მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის; სოფელ ჭაპალას ყოფილი კლუბის; სოფელ სამტრედოს ყოფილი კლუბის; ხატისოფლის ყოფილი საწყობისა და პურის საცხობის, სოფ. სამწვერისის ყოფილი კლუბის შენობების გადმოცემის შესახებ.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №7

ქ. ბოლნისი **07.09. 2010 წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, რახილ ფატულაევი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნინო დვალიშვილი; გულუ ახმედოვი, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ნადირ აბასოვი; თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, შერმადინ დადვანი, კობა ბასილაშვილი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

გიორგი ხომასურიძე -- მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

რამინ ასადოვი -- მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

სოლომონ ჩარკვიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსხურის უფროსი;

გოჩა მჭედლიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო- სამსხურის უფროსი;

მანუჩარ კობახიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის

უფროსი

შავლეგ მუშკუდიანი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის მთ. სპეციალისტი

ტელე კომპანია ,,ბოლნელი” და ,,5-TV“ არხი

საკრებულოს სხდომას ესწრება 18 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ”ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

2. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

4. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

5, ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

6. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

7 ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №5 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

8. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №7 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

9. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №8 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

10. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

11. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

12. მოქალაქე გიორგი მეტივიშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

13. მოქალაქე ნაილი მინდიაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

14. მოქალაქე ნინო ბენიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

15. მოქალაქე თამარ ტოკლიკიშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

16. მოქალაქე იზოლდა ბასილაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

17. მოქალაქე ცირა უგრეხელიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

18. მოქალაქე რიტა ჭიკაძისათჳის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

19. მოქალაქე ედვარდ ხაჩატუროვისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

20. მოქალაქე ალინა მახნაჩოვასათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

21. მოქალაქე სახიბა მამედოვასათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

22. მოქალაქე ნათელა ბანცაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

23. მოქალაქე ცრიალა ძამუკაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

24. მოქალაქე მამია გოგიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

25. მოქალაქე ცირა მღვდელაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

26. მოქალაქე ნაირა მეშევლიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

27. მოქალაქე ფარმან კასუმოვისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

28. მოქალაქე გიუნაშ ისმაილოვისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

29. მოქალაქე ნინო კობახიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

30. მოქალაქე შორენა ბერიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

31. ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2010 წლის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დამტკიცების შესახებ.“ 2009 წლის 24 დეკემბრის №1944 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატება თაობაზე

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **სოლომონ ჩარკვიანს** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

1. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ზურა დავითაშვილმა; შერმადინ დადვანმა.

1. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი "ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის №217 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნა ერთხმად **(დადგენილება №14** თან ერთვის)

2. **მოუსმინეს**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ წარმოადინა განსახილველი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, და აღნიშნა, რომ ეკონომიკის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის გაყოფის შედეგად ყალიბდება ახალი სტრუქტურული ერთეულები: ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური და ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

2. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ისმაილ მამედოვმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნა ერთხმად **(დადგენილება №15** თან ერთვის)

3. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი და ყურადღება გაამახვილა მისი საქმიანობის ძირითად ფუნქციებზე, რომელსაც სამსახური განახორციელებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელებისა და შესაბამისი ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქ მშენებლობის დოკუმენტების შემუშავების, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადების, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა";

3. აზრი გამოთქვეს:

კობა ბასილაშვილმა, ნინო დვალიშვილმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნა ერთხმად **(დადგენილება №16** თან ერთვის)

4. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ,,ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი და ყურადღება გაამახვილა მისი საქმიანობის ძირითად ფუნქციებზე, რომელსაც სამსახური განახორციელებს: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებისა და მუნიციპალიტეტის ქონების მართვის უზრუნველყოფა.

4. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, შერმადინ დადვანმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

4. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნა ერთხმად **(დადგენილება №17** თან ერთვის)

5. მოუსმინეს ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე .

ჯონი ხეცურიანი -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - წარმოდგენილ დადგენილების ცვლილების პროექტში მხოლოდ და მხოლოდ დაზუსტდა ტერიტორიის ზონირების ზუსტი საზღვრები.

5. აზრი გამოთქვეს:

კობა ბასილაშვილიმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

5. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010წლის 26 თებერვლის №224 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მიღებული იქნა ერთხმად **(დადგენილება №18** თან ერთვის)

6. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

6. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა, ისმაილ მამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

6. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" 2009 წლის 24 დეკემბრის

№1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N61** თან ერთვის)

7. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №5 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე"

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რამდენადაც კანონისა და რეგლამენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი და არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. კომისიის გამოკლებული წევრის ბესარიონ რეხვიაშვილის ნაცვლად, მის ადგილ მონაცვლე კომისიაში გახდა საკრებულოს ახალი წევრი კობა ბასილაშვილი.

7. აზრი გამოთქვეს:

ნინო დვალიშვილმა, ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, კარა გუილმამედოვმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

7. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №5 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N62** თან ერთვის)

8. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის,, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №7 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რამდენადაც კანონისა და რეგლამენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი და არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. კომისიის გამოკლებული წევრის ემზარ სუბელიანის ნაცვლად, მის ადგილ მონაცვლე კომისიაში გახდა საკრებულოს ახალი წევრი ზოია როსტომიანი.

8. აზრი გამოთქვეს:

ნინო დვალიშვილმა, კობა ბასილაშვილმა, ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

8. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №7 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე" ცვლილებების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N63** თან ერთვის)

9. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №8 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე "

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რამდენადაც კანონისა და რეგლამენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი და არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. კომისიის გამოკლებულ წევრის ემზარ სუბელიანის ნაცვლად, მისი ადგილ მონაცვლე კომისიაში გახდა საკრებულოს ახალი წევრი ზოია როსტომიანი.

9. აზრი გამოთქვეს:

ნინო დვალიშვილმა, კობა ბასილაშვილმა, ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

9. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №8 განკარგულებაში ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევისა და კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე " მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N64** თან ერთვის)

10. მოუსმინეს ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ჯონი ხეცურიანს** ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ "

ჯონი ხეცურიანი ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; საკითხი ეხება ამორტიზებული საბჭოური წარმოების 25 ერთეული ВК-1500; ВК-2500 კონდიციონერების პრივატიზებას.

10. აზრი გამოთქვეს:

კობა ბასილაშვილმა, ზურაბ დავითაშვილმა, რახილ ფატულაევმა, ნინო დვალიშვილმა

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

10. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ " მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N65** თან ერთვის).

11. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე "

11. აზრი გამოთქვეს:

ნინო დვალიშვილმა, კობა ბასილაშვილმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

11. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე „ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N66** თან ერთვის)

12. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს -- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ სოციალური პაკეტი.

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: გიორგი მეტივიშვილისათვის; ნაილი მინდიაშვილისთვის; ნინო ბენიძისთვის; თამარ ტოკლიკიშვილისათვის; იზოლდა ბასილაშვილისათვის; ცირა უგრეხელიძისთვის; რიტა ჭიკაიძისათვის; ედვარდ ხაჩატუროვისათვის; ალინა მახნაჩოვასათვის; სახიბა მამედოვასათვის; ნათელა ბანცაძისათვის; ცრიალა ძამუკაშვილისათვის; მამია გოგიძისათვის; ცირა მღვდელაძისათვის; ნაირა მეშევლიანისათვის; ფარმან კასუმოვისათვის; გიუნაშ ისმაილოვისათვის; ნინო კობახიძისთვის; შორენა ბერიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები.

12. აზრი გამოთქვეს:

ზურაბ დავითშვილმა -- ითხოვა საკრებულოსაგან მოქალაქე გიორგი მეტივიშვილისათვის მატერიალური დახმარების თანხის გაზრდა 500 დან 600-მდე, რაგდაგან გიორგი მეტივიშვილს ესაჭიროება ძვირად ღირებული ოპერაცია თურქეთის რესპუბლიკაში, მისის ოჯახი იმყოფება მძიმე სოციალურ მდგომარეობაში და არ აქვს ოპერაციის საფასურის გადახდის საშუალება.

ჯონი ხეცურიანმა; ვლადიმერ გოგოლაძემ, შერმადინ დადვანმა, კობა ბასილაშვილმა, ნინო დვალიშვილმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

12. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ „ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№ 67-85** თან ერთვის)

13. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო **„**ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2010 წლის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დამტკიცების შესახებ.“ 2009 წლის 24 დეკემბრის №1944 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების თაობაზე “ განკარგულების პროექტი. კერძოდ:

1. განკარგულების მე-3 მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ადმინისტრაციული სამსახური 550 ლიტრი.
ბ) ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური - 650 ლიტრი.
გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური 400 ლიტრი.
დ) ეკონომიკის განვითარების და ქონების მართვის სამსახური 250 ლიტრი.

2. განკარგულების მე-4 მუხლით დამტკიცებულ დანართი №2-ში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური - 220 ლარი (სასაუბრო ბარათი).
ბ) ეკონომიკის განვითარების და ქონების მართვის სამსახური 80 ლარი (სასაუბრო ბარათი).

13. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, კობა ბასილაშვილმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

13. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი **„**ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2010 წლის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დამტკიცების შესახებ.“ 2009 წლის 24 დეკემბრის №1944 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების თაობაზე” მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N86** თან ერთვის)

სხდომის დასასრულს ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს გააცნო ინფორმაცია აგვისტოს თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი ხშირი ხანძრების შესახებ. აგვისტოს თვეში სახანძრო სამსახურს ქონდა 84 გამოძახება, განადგურებულია ასობით ჰექტარი მიწის-ნაკვეთი და ახალგაზრდა ტყის მასივები. რათქმაუნდა ეს გარკვეულწილად მეიჯარეებისა და მიწის მესაკუთრეთა დაუდევრობის ბრალია, ისინი მოსავლის აღების შემდგომ ნაწვერალს წვავენ ყოველგვარი

უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშე, რამაც მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე. რომ არ ყოფილიყო აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის სამსახურების მხრიდან, მხოლოდ სახანძრო სამსახური ვერაფერს გახდებოდა და შედეგი იქნებოდა გაცილებით მძიმე. ვფიქრობ საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება, შესაბამისი ინსტრუქციების მიწოდება როგორ უნდა მოიქცნენ მოსავლის აღებისას და უსაფრთხოების რა ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული. კარგი იქნება აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მათ ენაზე მიწოდება, სათანადო ინსტრუქციების ტერიტორიულ ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში გამოქვეყნება რათა მაქსიმალურად იქნეს ინფორმაცია მოსახლეობამდე დაყვანილი. წელს ნაკლებად მომზადებული შევხვდითო ზაფხული ამ რთულ პერიოდს და ვფიქრობ ყველა ეს ფაქტი გასათვალისწინებელია სამომავლოდ, რათა მსგავსი შედეგი თავიდან იქნეს აცილებული.

გიორგი ხომასურიძემ -- უდავოა რომ გამგეობის მერ განსახორციელებელია პრევენციული ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ზაფხული, როგორიც წელს გვქონდა. სთხოვა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს პრესას, ტელევიზიას, რაც შეიძლება ხშირად მიმართონ მოსახლეობას და მოუწოდონ გულისხმიერებისკენ, კარგი იქნება აღნიშნულ თემატიკაზე და მათ გამომწვევ პრობლემებზე გადაცემების გაკეთება, აქ უნდა იყვნენ ჩართულნი აგრონომები და გარემოს დაცვის ინსპექციის სპეციალისტები. აქვე უნდა იყოს მოსახლეობა ინფორმირებული, რომ დაუსჯელი არ დარჩება არავინ ვინც არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების წესების დაცვას. აქვე ისარგებლა შემთხვევით და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს თანადგომისათვის.

ჯონი ხეცურიანმა -- დასვა საკითხი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ასიგნებანი და შემუშავებულ იქნას პრევენციული ღონისძიებების გეგმა, მომავალი წლის ზაფხულში მოსალოდნელი ხანძრების თავიდან აცილების მიზნით.

გოჩა მჭედლიშვილმა -- ისაუბრა სახანძრო სამსახურის მერ გატარებულ ღონისძიებებზე და აქვე მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაჯარიმდა 3 მესაკუთრე თითოეული 2000 ლარის ოდენობით .

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №

ქ. ბოლნისი **5.10. 2010 წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 12 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნინო დვალიშვილი; რუსუდან შაინიძე, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ვაგან არუთინიანი, თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, შერმადინ დადვანი, კობა ბასილაშვილი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

იოსებ ლალიაშვილი -- მუნიციპალიტეტის გამგებლი;

სოლომონ ჩარკვიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსხურის უფროსი;

გოჩა თაგვაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის,

სოციალური დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის

სამსახურის მთ. სპეციალისტი

ტელე კომპანია „ბოლნელი" და „5-TV" არხი , შპს „გაზეთი ბოლნისი „

საკრებულოს სხდომას ესწრება 17 წევრი, აქედან გამომდინარე სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ “ 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: რახილ ფატულაევი

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 ივლისის №100 და 2008 წლის 25 იანვრის №611 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

3.,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ “ 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

4. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

5. შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს მიერ ანტირაბიული მომსახურების დაფინანსების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

6. ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

7. მოქალაქე ლეილა მანაგაძისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

8. მოქალაქე სერგო ჯაჯანიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

9. მოქალაქე ვართუშ გუნაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

10. მოქალაქე ეთერ ჯაჯანიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

11. მოქალაქე თამაზ მანაგაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

12. მოქალაქე ოლგა კაცაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

13. მოქალაქე მერაბ შაინიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

14. მოქალაქე სერნო ასათიანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

15. მოქალაქე ნუკრი ჩიქავასათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

16. მოქალაქე მაია ჯაფარიძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

17. მოქალაქე დალი თამაზაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

18. მოქალაქე სპარტაკ პატარაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

19. მოქალაქე თათუშა ბრეგვაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

20. მოქალაქე ია ქოქოსაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

21. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის სესხისა და გრანტის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: კარა გულმამედოვი

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ " 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

1. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ზურაბ დავითაშვილმა, შერმადინ დადვანმა, ისმაილ მამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

1. **დაადგინეს:**

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ერთიანი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ " 2009 წლის 24 დეკემბრის №1943 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე " მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება N87** თან ერთვის)

2. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 ივლისის №100 და 2008 წლის 25 იანვრის №611 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ “.

ჯონი ხეცურიანი -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - წარმოდგენილ განკარგულების პროექტში საუბარია 2007 წლის 6 ივლისის №100 განკარგულების ,,სასმელი წყლის ტარიფის დამტკიცების შესახებ “ და 2008 წლის 25 იანვრის №611 განკარგულების ,,შპს ,,ბოლნის წყალკანალი “ --სათვის სასმელი წყლის 2007 წლის წყლის გაანგარიშების ტარიფის გამოყენების ნებართვის მიცემის შესახებ “ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ვინაიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით დამტკიცებული ზღვრული ტარიფის ფარგლებში შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია “-მ დაადგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოხმარებული სასმელი წყლისა და წყალარინების ახალი ტარიფები, რომელიც ძალაში შევიდა ამა წლის 1 სექტემბრიდან. აქედან გამომდინარე ყველა მანამდე მიღებული აქტი ძალას კარგავს.

2. აზრი გამოთქვეს:

კობა ბასილაშვილმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 ივლისის №100 და 2008 წლის 25 იანვრის №611 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ “ მიღებული იქნა ერთხმად **(განკარგულება №88** თან ერთვის)

3. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს -ისმაილ მამედოვს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ “ 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ “ 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის №1977 განკარგულებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა განთავისუფლებული იყო სასმელი წყლის გადასახადისაგან, რისთვისაც დამტკიცებულ ბიუჯეტში აღნიშნული ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 270 ათ. ლარის ასიგნებანი (1 ბენეფიციარი -0.3 ლარი თვეში სულ 22500). საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით დამტკიცებული ზღვრული ტარიფის ფარგლებში შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია “-მ დაადგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოხმარებული სასმელი წყლისა და წყალარინების ახალი ტარიფები, რომელიც ძალაში შევიდა ამა წლის 1 სექტემბრიდან.

მუნიციპალიტეტის დაძაბული ბიუჯეტის გამო ახალი ტარიფების გათვალისწინებით შეუძლებელი ხდება აღნიშნული პროგრამის გაგრძელება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 -ე მუხლის შესაბამისად შეტანილი იქნეს ცვლილებები ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ " საკრებულოს 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ", კერძოდ უნდა გაუქმდეს განკარგულების VIII თავის მე-18-ე მუხლი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უფასოდ უზრუნველყოფა. X თავის 21 -ე მუხლში ,,პროგრამის ბიუჯეტი " განსაზღვრულ ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლის უფასოდ უზრუნველყოფა "-ს 270 000 ლარს აკლდება 90 000 ლარი. (სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის გადასახადი)

იოსებ ლალიაშვილი- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი წლების მანძილზე ადგილობრივ ბიუჯეტში იდებოდა სოლიდური თანხები, ჩენს მიერ მოხდა ამ თანხების სერიოზული შემცირება, თუმცა ამით არც რაიმე გაუმჯობესებულა და არც გაფუჭებულა წლით მომარაგება იყო იგივე. გამოდის რომ სულ წყალში იქნა წლების მანძილზე თანხები გადაყრილი. მოსახლობა უნდა მიეჩვიოს ისე როგორც იხდის ბუნებრივი აირის, ელექტრო ენერგიის გადასახადს ასევე უნდა გადაიხადოს წყლის გადასახადი. მესმის რომ ეს დასაწყისში იქნება გარკვეულწილად მტკივნეული მაგრამ ამ წეს უნდა მიეჩვიოს საზოგადოება. ამ სფეროში დარჩენილი თანხები მიმართული იქნება ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

3. აზრი გამოთქვეს:

შერმადინ დადვანმა, კობა ბასილაშვილმა, ზურაბ დავითაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ " 2010 წლის 11 იანვრის №1977 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე " მიღებული იქნა ერთხმად **(განკარგულება №89** თან ერთვის)

4. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა განკარგულების პროექტი ,,სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ " .

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 6 ინვალიდი ვეტერანისათვის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 10 მარჩენალდაკარგული ოჯახებისა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოს ომში მარჩენალ დაღუპული ან

დაკარგული 45 ოჯახისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა თითოეულზე 100-100 ლარის ოდენობით.

4. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, შერმადინ დადვანმა, ზურაბ დავითაშვილმა, ნინო დვალიშვილმა, რუსუდან შაინიძემ, კობა ბასილაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

4. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ " მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №90** თან ერთვის)

5. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა განკარგულების პროექტი ,,შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს მიერ ანტირაბიული მომსახურების დაფინანსების შესახებ „

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს მიერ ანტირაბიული მომსახურების დაფინანსების შესახებ" განკარგულების პროექტი. სოფელ ჭაპალის ტერიტორიაზე , ტურის მიერ დაკბენილი იქნა მოქალაქე შუქურ ისმაილოვი. იმის გამო, რომ მან დაგვიანებით მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, 2010 წლის 1 აგვისტოს გადაიცვალა დიაგნოზით: ცოფი (ჰიდროფობია). შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს „ მიერ, აღნიშნულ მოქალაქესთან კონტაქტში მყოფ პირებს (ოჯახის წევრებს, ნათესავებს 16 პირი) ჩატარებული იქნა ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი , რის გამოც შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს „ დირექცია ითხოვს ვაქცინის ღირებულების დაფინანსებას.

5. აზრი გამოთქვეს:

შერმადინ დადვანმა, ზურაბ დავითაშვილმა, ნინო დვალიშვილმა, კობა ბასილაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

5. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,შპს ,,ბოლნისის რაისაავადმყოფოს მიერ ანტირაბიული მომსახურების დაფინანსების შესახებ " მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №91** თან ერთვის)

6. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა განკარგულების პროექტი ,,ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ" .

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო ,,ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ" განკარგულების პროექტი, საკრებულოს მიერ 2010წლის 11 იანვარს მიღებული იყო განკარგულება №1977 ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა. მ/წ 30 ივლისის N32 განკარგულებით შევიდა ცვლილება მუნიციპალურ პროგრამაში და მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა გავრცელდა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე. ცვლილებების შეტანამდე მოქალაქეთა მიერ (11 მოქალაქე) მოხდა მედიკამედტების შეძენა, მუნიციპალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემდგომ მათზე აღარ გავრცელდა დახმარება, რის გამოც დაუგროვდათ დავალიანება აფთიაქ შპს ,,ასმათი"-ში. (შესაბამისი დმადასტურებელი დოკუიმენტაცია განკარგულების პროექტს თან ახლავს)

მუნიციპალიტეტის გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნია მოქალაქეებისათვის დავალიანების ნაწილობრივ დაფარვა.

6. აზრი გამოთქვეს:

შერმადინ დადვანმა, ზურაბ დავითაშვილმა, ნინო დვალიშვილმა, კობა ბასილაშვილმა, ჯონი ხეცურიანმა, კარა გულმამედოვმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

6. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ,,ფსორიაზით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ" მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულება №92** თან ერთვის)

7. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ სოციალური პაკეტი.

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: ლეილა მანაგაძისთვის; სერგო ჯაჯანიძისათვის; ვართუშ გუნაშვილისათვის; ეთერ ჯაჯანიძისათვის; თამაზ მანაგაძისათვის; ოლგა კაცაძისათვის; მერაბ შაინიძისათვის; სერნო ასათიანისათვის; ნუკრი ჩიქავასათვის; მაია ჯაფარიძისათვის; დალი თამაზაშვილისათვის; სპარტაკ პატარაძისათვის; თათუშა ბრეგვაძისათვის; ია ქოქოსაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები.

7. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, ნინო დვალიშვილმა; რუსუდან შაინიძემ, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ვაგან არუთინიანმა, შერმადინ დადვანმა, კობა ბასილაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

7. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ „ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№93-106** თან ერთვის)

8. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის სესხის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" კერძოდ: 2010 წლის 09 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება (ქ. ბოლნისის ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი). პროექტის მიმდინარეობისას დამატებით საჭირო გახდა პროექტის დაზუსტება, რაც იწვევს პროექტის ღირებულების ზრდას 15%-ით (190000 ლარის ოდენობით), საიდანაც თანხის 30%-ს გრანტის სახით დააფინანსებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხოლო მუნიციპალიტეტი უნდა შევიდეს თანადაფინასებით 20%-ით ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 50% კი სესხის სახით უნდა მიიღოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. ამისათვის საჭიროა საქართველოს მთავრობისაგან ნებართვის მიღება სესხის აღებასთან დაკავშირებით და საკრებულოს თანხმობა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დამატებით 50% -ის (95000 ლარის) სესხის აღებაზე.

8. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, შერმადინ დადვანმა, კობა ბასილაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

8. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის სესხისა და გრანტის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ „ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№107** თან ერთვის)

იოსებ ლალიაშვილი- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჩვენ ალბათ 20 ოქტომბრისათვის ისევ შევხვდებით განვიხილავთ 2011 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს და მოვისმენთ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული მუშაობის 9 თვის ანგარიშს, აქვე გამოჩნდება თუკი ვინმე ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას მათ მიმართ განხორციელდება საკადრო ცვლილებები.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №

ქ. ბოლნისი **2.11. 2010 წ**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა სხდომათა მცირე დარბაზში დღის 11 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი.

ესწრებოდნენ: რამიზ სოფუევი --საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საკრებულოს წევრები:

ჯონი ხეცურიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, რახილ ფატულაევი, ისმაილ მამედოვი, იმრან სარდაროვი, ზურაბ დავითაშვილი, კარა გულმამედოვი, ნინო დვალიშვილი; რუსუდან შაინიძე, ნურადინ ალაზოვი, ნუგზარ ყაფლანიშვილი, ვაგან არუთინიანი, ნადირ აბასოვი, თემურ მამედოვი, აჯისაიათ ალიევი, შერმადინ დადვანი, ზოია როსტომიანი, კობა ბასილაშვილი.

თამარ ასათიანი --ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სოფიო ჩაკვეტაძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

მთავარი სპეციალისტი

მოწვეულები:

იოსებ ლალიაშვილი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

გიორგი ხომასურიძე -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

შავლეგ მუშკუდიანი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯამრთელობის, სოციალური

დაცვის, ვეტერანთა საქმეებისა და მიგრაციის სამსახურის მთ. სპეციალისტი

საკრებულოს სხდომას ესწრება 20 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ნოდარ საბიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ჯონი ხეცურიანი

2. დისველის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ვლადიმერ გოგოლაძე

3. მოქალაქე ლალი ბერაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

4.მოქალაქე ლილი თავშავაძისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

5.მოქალაქე მარინე რეხვიაშვილისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

6. მოქალაქე იზოლდა ბექაურისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

7. მოქალაქე მაია ქალდანისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

8. მოქალაქე ვაჟა გოგიაშვილისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

მომხსენებელი: ნოდარ საბიაშვილი

თანამომხსენებელი: ისმაილ მამედოვი

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

კენჭისყრის შედეგად სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. **მოუსმინეს:**

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც ჯონი ხეცურიანს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის

,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“

ჯონი ხეცურიანი -- ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აწესრიგებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებას. წესში დეტალურად არის გამიჯნული შიდა ურთიერთობები, კერძოდ რა ვადაში უნდა იქნეს საპრიოვატიზებო ობიექტების ნუსხის პროექტი შედგენილი, რა ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი დასამტკიცებლად თავად ბრძანების პროექტი, რა ინფორმაციას უნდა შიცავდეს პროექტი ეს არის ქონების დსახელება; ქონების საწყისი გასაყიდი ფასი; ,,ბე“-ს ოდენობა; ბიჯის სიდიდე და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი; აუქციონის ჩატარების თარიღი და ა.შ. განსაზღვრულია ასევე ვინ შიძლება იყოს მყიდველი საქართველოს თუ უცხო ქვეყნის იურიდიული თუ ფიზიკური პირი; როგორ უნდა მოხდეს ზოგადად აუქციონის ორგანიზება და როგორი უნდა იყოს აუქციონში მონაწილეობის პირობები, როგორ ხდება გარიგებათა გაფორმება, მყიდველის პასუხისმგებლობა და გარიგებათა ბათილობა. ეს წესი გაამარტივებს ზოგადად აუქციონის ჩატარების პროცესს.

1. აზრი გამოთქვეს:

შერმადინ დადვანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

1. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ მიღებული იქნა ერთხმად (**დადგენილება №20** თან ერთვის)

2. მოუსმინეს

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც **ვლადიმერ გოგოლაძეს** -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა მოეხსენებინა საკრებულოსათვის ,,დისველის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ“

ვლადიმერ გოგოლაძე -- იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2010 წლის 27 მაისის №989 წერილით, ,,დისველის“ დასახლების მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების შესწავლისა და კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების თხოვნით. კოლექტიურ განცხადებაში ,,დისველის“ მცხოვრებლები მოითხოვენ წლების მანძილზე გადაუჭრელი საკითხის მოგვარებას- დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭებას. აღნიშნული საკითხის განხილვა დაიწყო 2010 წლის 2 ივლისის საკრებულოს სდომაზე და მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საკითხის შესწავლა, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და საკრებულოსათვის წარმოდგენა.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ,,დისველის“ დასახლება შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სოფლისათვის დადგენილ პირობებს. მის საზღვრებში მოქცეულია სასოფლო-

სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და ინფრასტრუქტურა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 20 ოქტომბრის №508 დადგენილებით რატევნის მეცხოველეობის კუთვნილი მიწებიდან ამავე მეურნეობის საკარმიდამო ფონდში ჩაირიცხა 120 ჰა. მიწა, სადაც დასახლდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს რაიონის სხალთის ხეობიდან 1989 წლის 19 აპრილს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარებული ოჯახები. დასახლებულ მასივს (ტაფნის მასივს) ეწოდა ,, დისველი “.

,,დისველის“ ტერიტორიაზე ამ ეტაპზე ცხოვრობს 418 კაცი (103 კომლი). დასახლების ტერიტორიის ფართი შეადგენს - 382 ჰა-ს, სადაც ფუნქციონირებს საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, სპორტდარბაზი, ამბულატორია და მოქმედებს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ,,დისველის“ დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შემდეგ შეიცვლება ქალაქ ბოლნისის ადმინისტრაციული საზღვრები, ვინაიდან ამ ეტაპზე ,,დისველი“-ს დასახლება შედის ქალაქ ბოლნისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ასევე შეიქმნება ახლი ტერიტორიული ორგანო, რის შემდეგაც სოფელს ექნება როგორც ინფრასტრუქტურის ასევე კულტურულ-საზოგადოებრივი მიმართულებით სრულყოფილი განვითარების საშუალება.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 04.03.2008 წლის №110 ბრძანებულების ,,დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის დასახლებისათვის სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესის შესახებ“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) შექმნის ან გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შუამდგომლობით მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს. დასახლების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, გუბერნატორის მიერ საკრებულოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) დასახლების შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება.

ბ) შესაქმნელ/გასაუქმებელ დასახლებაში მოსახლეობათა რიცხოვნობა.

გ) შესაქმნელი/გასაუქმებელი დასახლების სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

2. აზრი გამოთქვეს:

რუსუდან შაინიძემ, ნინო დვალიშვილმა, ჯონი ხეცურიანმა;

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი

2. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად მეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ,,დისველის დასახლებისათვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ წერილობითი მოთხოვნა შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნოს ქვემო ქართლის გუბერნატორს შემდგომში საქართველოს პრეზიდენტთან შუამდგომლობის მიზნით.

3. მოუსმინეს:

ნოდარ საბიაშვილს -- საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელმაც თანამომხსენებელ ისმაილ მამედოვს - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა წარედგინა მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ სოციალური პაკეტი.

ისმაილ მამედოვი -- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც წევრებს გააცნო მოქალაქეების: ლალი ბერაძისათვის; ლილი თავშავაძისათვის; მარინე რეხვიაშვილისათვის; იზოლდა ბექაურისათვის; მაია ქალდანისათვის; ვაჟა გოგიაშვილისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაწევის შესახებ განკარგულებების პროექტები.

3. აზრი გამოთქვეს:

ჯონი ხეცურიანმა, ვლადიმერ გოგოლაძემ, ზურაბ დავითაშვილმა, ნინო დვალიშვილმა; რუსუდან შაინიძემ, ნუგზარ ყაფლანიშვილმა, ვაგან არუთინიანმა, შერმადინ დადვანმა, კობა ბასილაშვილმა.

ნოდარ საბიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები

3. დაადგინეს:

კენჭისყრის შედეგად განკარგულებების წარმოდგენილი პროექტები ,,მოქალაქეების მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ„ მიღებული იქნა ერთხმად (**განკარგულებები №№ 120--125** თან ერთვის)

ნოდარ საბიაშვილმა- დეპუტატებს შესთავაზა წინადადება ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, იმ გმირების ოჯახებს, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, გაუწიონ ერთჯერადი მატერიალური დახმარება. ასეთი გმირი ბოლნისს 3 ყავს, ერთერთი მათგანის მაია ქალდანის საკითხი (საბა დადვანის დედა)განხილული იქნა.

საკრებულოს დეპუტატები ერთხმად დაეთანხმნენ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას.

დაევალა შავლეგ მუშკუდიანის -- გამგეობის სოციალური სამსახურის წარმომადგენელს, რომელიც სხდომას ესწრებოდა საკრებულოს შემდეგ სხდომაზე წარმოადგინოს დანარჩენი 2 გმირის ოჯახის მატერიალური დახმარების საკითხი.

ამით დღის წესრიგი ამოიწურა და ნოდარ საბიაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი